

სსიპ
საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო
ზედამხედველობის
სამსახური



LEPL
INSURANCE STATE
SUPERVISION
SERVICE OF GEORGIA

N 116
01/03/2017

116-7-2-201703011523



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

ასლი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს მ.წ. 26 იანვარს წარედგინა საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წერილი (იხ. დანართი).

როგორც წერილიდან ირკვევა, 2016 წლის 22 დეკემბერს სამოქალაქო კოდექსში ინიცირებულმა ცვლილებამ ერთგვარი ბუნდოვანება გამოიწვია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სარეგულაციო სუბიექტთა მიმართ სადაზღვევო და საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობიდან გამომდინარე. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 628¹-ე მუხლი მზღვეველი ორგანიზაციების (დაგროვებითი სიცოცხლის დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობიდან გამომდინარე) და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების ჭრილში საჭიროებს ერთგვარ დაზუსტებას.

მზღვეველმა ორგანიზაციებმა ასევე ითხოვეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის 2¹ პუნქტის განმარტება. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის მოქმედება ვრცელდება თუ არა პირთა მიერ ხელშეკრულებაში უცხოური ვალუტის განსაზღვრის შემთხვევაზე (სახელშეკრულებო ვალუტა). შესაბამისი მოსაზრება სამსახურმა მოიპოვა წერილობითი სახით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (იხ. დანართი).

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული საკითხები და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.

სამსახური გამოთქვამს მზადყოფნას გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.


დანართი:

1. 2017 წლის 26 იანვრის S – 0117/02 წერილი – 3 (სამი) ფურცლად;
2. 2017 წლის 16 თებერვლის 2-14/685-17 წერილი – 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,

კონსტანტინე სულამანიძე

სამსახურის უფროსი



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-14/623 17
16.02.2017

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის

უფროსს

ბატონ კონსტანტინე სულამანიძეს

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი ამა წლის 2 თებერვლის N71 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მოსაზრებით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის 2¹ პუნქტი არ ვრცელდება პირთა მიერ ხელშეკრულებაში უცხოური ვალუტის განსაზღვრის შემთხვევაზე (სახელშეკრულება ვალუტა). აქვე გვსურს შეგატყობინოთ, რომ კანონის ნორმების განმარტება სცილდება საქართველოს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

პატივისცემით,

გიორგი მელაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბატონ კონსტანტინე სულამანიძეს

26.01.2017

S - 0117/02

ბატონო კონსტანტინე,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბრის წარდგინებით
ინიცირებულ იქნა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც 2016 წლის 29
დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. კერძოდ, საუბარია
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ
კანონში, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე“, რომლებიც ითვალისწინებენ
გარკვეულ შეზღუდვებს სესხის გაცემისას მხარეთა მიერ პირობების განსაზღვრისას და ასევე
ადგენენ მეწარმე სუბიექტების ვალდებულებას მომსახურების ან/და საქონლის შეთავაზებისას
ფასის ეროვნულ ვალუტაში დადგენის შესახებ. კანონმდებლობაში განხორციელებული
ცვლილებათა ფორმულირებისა და ასევე შესაბამისი განმარტებითი ბარათების შინაარსიდან
გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რეგულაციები, საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას
შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული
ყოველგვარი გაუგებრობა სადაზღვევო ბაზარზე მოქმედ მეწარმე სუბიექტებთან მიმართებაში.

პირველ რიგში გვინდა შევეხოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 628¹ მუხლს, რომლის
მიხედვითაც მეწარმე ან ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფის მიერ, რომელიც
ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20 ზე მეტი ფიზიკური პირისგან,
თითოეული პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე (ან
უცხოური ვალუტით მის ექვივალენტზე) ნაკლები. ამავე მუხლის მეორე ნაწილით
დადგენილი გახვალთ გამონაკლისი აღნიშნული წესიდან, კერძოდ მითითებული მოთხოვნა
არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო კავშირებზე, საბროკერო კომპანიებზე და
ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებებზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ
შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საფინანსო სექტორის სხვა
წარმომადგენლებზე. მითითებულ მუხლთან დაკავშირებით განმარტებით ბარათში
მითითებულია, რომ საუბარია ფულადი სახსრების სესხებაზე, თუმცა ამ კონკრეტულად,
სამწუხაროდ, ასახვა ვერ პოვა თავად კოდექსის მუხლის შინაარსში. შესაბამისად
ფორმულირება „ნებისმიერი სახით ფულადი სახსრების მოზიდვა“ საკმაოდ ვრცელი
განმარტების შესაძლებლობას იძლევა. როგორც მოგეხსენებათ, სადაზღვევო კომპანიას
სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის საფუძველზე აქვს უფლება მოიზიდოს სახსრები
ფიზიკური პირებისგან როგორც არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ასევე
დაგროვებითი სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისას. ზემოთ მითითებული მუხლის
ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა შესაძლებელია თუ არა
გავრცელდეს აღნიშნული შეზღუდვა სადაზღვევო კომპანიებზე და ვფიქრობთ, რომ
აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლში შესული დამატებები. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნულ მუხლს დაემატა 2¹ და 2² პუნქტები, რომლის მიხედვითაც მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით. მოცემული დამატების შინაარსიდან ასვე შესაბამისი განმარტებით ბარათიდან გამომდინარე შეიძლება გამოტანილ იქნას აზრი, რომ 2017 წლის 01 ივლისიდან სადაზღვევო კომპანიები, სხვა მეწარმე სუბიექტების მსგავსად, ვალდებული იქნებიან მომსახურების შეთავაზებისას და შემდგომ ხელშეკრულებაში მომსახურების ღირებულება სადაზღვევო პრემია მხოლოდ ლარში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სადაზღვევო თანხების ასევე ეროვნულ ვალუტაში დაფისირებას. თუ ჩვენს მიერ მითითებული მსჯელობა შეესაბამება კანონმდებლის ნებას, ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა ექნება უარყოფითი ფინანსური ეფექტი, როგორც სადაზღვევო ბიზნესის, ასევე მისი მომხმარებლებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, შედეგად გამოიღებს სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელოვან შემცირებას. სადაზღვევო პრემიის მოზიდვა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში სადაზღვევო კომპანიებს დააყენებს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის ქვეშ, ვინაიდან დღეს საქართველოში მოქმედი ყველა სადაზღვევო კომპანია, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით, გადაზღვევას ახორციელებს საზღვარგარეთ მოქმედ გადაზღვეველებთან, სადაც გადაზღვევის პრემია განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში და, შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილებების გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიებს შეეძენებათ პრობლემა მომხმარებლისათვის ადეკვატური სადაზღვევო ტარიფის შეთავაზებასთან დაკავშირებით. ასევე ძალიან გართულებდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციებით წარმოებული მსხვილი პროექტების სამშენებლო რისკების დაზღვევისას, სადაც მოსარგებლეს, როგორც წესი წარმოადგენს ინვესტორი, სადაზღვევო კომპანიამ დაარწმუნოს ინვესტორი სადაზღვევო თანხის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრის მიზანშეწონილობაში. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ინვესტორებიც და სხვა არარეზიდენტი მომხმარებლებიც მიმართავენ სხვა მექანიზმებს/ სადაზღვევო პროდუქტებს იმისათვის, რომ დაზღვევა განხორციელოს სხვა ქვეყნის სადაზღვევო კომპანიებმა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირებს ქართულ სადაზღვევო ბაზარს. იგივე პრობლემა დგას საბანკო და სადაზღვევო სექტორის საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის სფეროში თანამშრომლობის ნაწილშიც, რომელიც დღეს ერთ-ერთ განვითარებულ მომართულებას წარმოადგენს. როდესაც საბანკო დაწესებულების მიერ 100 000 ლარს ზემოთ სესხი გაცემულია სხვა ვალუტაში, სადაზღვევო კომპანია იძულებული იქნება სადაზღვევო თანხა მაინც ეროვნულ ვალუტაში დააფიქსიროს, რაც კურსის ცვლილების შემთხვევაში უარყოფილად აისახება ბანკის ინტერესებზე და შემდგომ ჯაჭვურად დაზღვეულის მემკვიდრეებზე. ანალოგიური სიტუაცია იქმნება 100 000 ლარს ზემოთ გაცემულ უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში, როდესაც უზრუნველყოფის საშუალება (ქონება) დაზღვეულია და სადაზღვევო თანხა განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ის ფაქტორი, რომ ქონების დაზღვევისას ეროვნულ ვალუტაში სადაზღვევო თანხის დაფიქსირებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს მომხმარებელი, კერძოდ, შესაძლოა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სრულად განადგურებული ქონების სანაცვლოდ მომხმარებელმა მიიღოს სრული სადაზღვევო თანხა, რომელიც ვალუტის კურსის ცვალებადობის გამო მნიშვნელოვნად ნაკლები იყოს ქონების საბაზრო ღირებულებაზე მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის მომენტში სადაზღვევო თანხა ეროვნულ ვალუტაში შეესაბამებოდა ქონების საბაზრო ღირებულებას; ან იგივე შემთხვევაში, ნაწილობრივი ზიანისას, შემცირებული დაზღვევის გამო მომხმარებლის მიმართ

გამოყენებულ იქნას პროპორციულობის წესი. გარდა აღნიშნულისა, ლარში დაფიქსირებული სადაზღვევო თანხის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის სფეროში, ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევების რეგულირებისას მნიშვნელოვნად გაიზრდება სადაზღვევო კომპანიის ზარალიანობის მაჩვენებელი, ვინაიდან ავტონაწილების ღირებულების განსაზღვრისას შესაბამისი მომწოდებლები დამოკიდებულნი არიან ვალუტის კურსზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, გაგვიწიოთ დახმარება ზემოთ მითითებული საკითხების დაზუსტებაში.

პატივისცემით,



დევი ხეჩიანაშვილი

გამგეობის თავმჯდომარე